


58
808 8438

საქართველოს
საბჭოთაო
მეცნიერებათა
აკადემიის
ბიბლიოთეკა

საბჭოთაობა № 7



საქართველოს
საბჭოთაო
მეცნიერებათა
აკადემიის
ბიბლიოთეკა

1908

მცირე

წარმართების

აპრილი

1908

შინაარსი

I—ბატკანი.—ლექსი შ. მღვიმელისა	3
II—პატარა მექონეები.—(მოთხრობა) ტყეიტისა	4
III—თავ-წითელა.—ი. კვდოშვილი	13
IV—რა გვიამბო დედამ.—VIII შაქარი. — (გაგრძელება, თარგმანი) ან. აშილასურისა	19
V—გასართობი:—ა) მგზავრი და ავაზაკი,—ბ) გამოცა- ნა,—გ) რებუსი და აღსნა	23



899.962.1(სს)

5-22



ნაკადული № 7.

მეორე წლევანთათვის.



სააღდგომო სიხარული.

ტფილისი, ელექტრონის სცამბა წიგნების გამოცემელ ქართველთა აზხანაგობისა.

შინაარსი

- I—ბატანი.—ლექსი შ მდგომელოს 3
- II—პატარა მეჰონები.—(მთხრობა) ცქვიტისა 4
- III—თავ-წითელა.—ი. კვდოშვალი 13
- IV—რა გვიამბო დედამ. —VIII შაქარი. — (გაგრძელება,
თარგმანი) ან. ამაღასკრისა 19
- V—გასართობი:—ა) მგზავრი და ავაზაკი,—ბ) გამოცა-
ნა,—გ) რეზუსი და აღსნა 23
- 



ბატკანი



მე მინდა ზეცას ვუუწურო,
მიწაზედ ვიარებოდე,
მზე-მთვარის ჩასვლა-ამოსვლით
ვსიამოვნებდე, ვსტკებოდე.

რა ვუწუთ, რომ ვარ ჰირუტევი,
მუნჯი უნო ცხოველი,
ვინ იცის, იქნებ აღდგომას
მე უფრო სულით მოგელი.

თქვენ რომ იღებავთ წითლად კვერცხს
და მხიარულობთ გულითა,
ულოცავთ ერთი ერთმანეთს
აღდგომას სიხარულითა,

განა მე მოკლებული ვარ
ამ სიხარულს და გრძნობასა?
არა ვუფიცულობ დედას მზეს
მეგობრობას და მძობასა?

ჩემი წითელი კვერცხია
 ცა შედებილი წითლად,
 მწვანე ზედ გადმოფრქეული
 მსისა სხივები ევითლად.

რასაც თქვენ გულსა ეძახით,
 ჩემშიც იგივე გულია,
 ჩემი აღდგომა — ბუნების
 აღმდგენი გასაფხულია.


მაშ ნულარ მისჯობთ სიცოცხლეს
 ისედაც მოკლე დღიანსა,
 გაშიშვით მეცა ვუმსირო
 აღდგომის დღესა მსიანსა.

შ. მღვიმელი.





პატარა მეზონები



იდ მარსვის უგანსკნელი დღე საგვი-
რველი სისწრაფით ილეოდა. აგერ სა-
ღამოც დადგა, მაგრამ ისეთი მშვიდი
და ნათელი საღამო, რომ ადამიანს
ეველა ჯაგრის და ვარამს გაუქარწელებ-
და. ამ დროს მთლად აუვაგებულ სო-
ფელს თითქოს რაღაცა მოუსვენარი ჩოქოლი და სიცოცხლე
დაეტეო. „ქუცი, ქუცი, ქუცი“ მოისმოდა შორიდგან ვილა-
სიც სმა; „გამოიტა, გოგო, დროით ე სონხა, ჰური იწვის
ჩქარა“ — მისამხრდა აქედან ჩვენებანთ უეფე და ეველა ამას
ასღად შემოწულ ონისიძიანთ ბაჰში დამწვედგული ბატ-
კის ბღავილი და იქვე ცსვირჩიბუსა დეპეტრეს ნახევრად
დანგრეული წისქვილის ღრიტინი უერთდებოდა. ჩვენი ილი-
კოც ამ საღამოთი დიდ ამბავში იყო: დერეფანში ვარცლში
ჩაღბობილ თასმებს მისჯდომოდა და ბროლივით გამოუვანილ
ასაღ ჰატარა ქაღმებს გამალებული ჰბოჭავდა. თან ისე გუ-
ლინანდ ხენემოდა, გეკონებოდათ ას ფუთიანი ტომარა წამოუ-
კიდნიაო. მის ჰირდაჰირ შემჭვარტლულ ჭერში ცალფრთიანი
ბობოლა ოდნავ ბროწილესდა.

— დედი! ადამიანო, ი რაღაც ჰერანგია დროით დამიკერე,
თორემ ი ბიჭები საცაბ მოვლენ და ე ჩონი ამარა წავალ აი, —
გასძახა დედას, რომელიც სახლის გვერდით აგოკოლაგებულ

ქვებზედ მშის ჰირად იჯდა და ნელი დიდინით გაუვითლებულ ლეჩაქს სალიტანიოდ მსხვილი კოჭის ძაფით იკერებდა.

— ნეტავი, ბიჭო, შენ გიჟი არ იყო, ემანდ შენთვინ ეგდე ის გირჩევენან. არა, დედაშვილობას, ვის ეჭონება ამ ქესატობაში, ან ვის რა აქვავიათ, რომ შენისთანა ბაღლების სავილში კვერცხები გამოგიტანონ.

— ებეი, რას ლაპარაკობ ადამიანო, მაშ ადღგომა იმიტომ მისაროდა, რომ წითელი კვერცხებიც არ შემედება? მაშ ი ერთი ჯამი ჭიაფური რითვინ გამოვართვი ნათლი დედასა? ჩვენ რომ ხელში კატა გამოგვიკვდება, განა ეველანი ეგრე არიან. დაუუვლი მთელ სოფელს, ერთი ორიოდ კვერცხს შევაგროვებ, შავლებამ ლაშასად და ადღგომა და ადღგომა. ახლა ერთ ჩაკირულ კვერცხს ლიტონისზედ წავიღებ და როგორც



დავიწეებთ გაჩაღებული სანთლებით შემოვლას, მაშინ კი შევსძახებ, ქრისტე აღდგა მეთქი და ზარების ჩახა-ჩუხთან ერთად მეც ლაწა-ლუწს და თაჯ-ზირის ჩეჩქას ავუტყხამ ი ჩემ ტოლ ბიჭების კვერცხებსა.

— ილიკო, ბიჭო, აბა მსადა სარ, წამო რაღა დროით, თორემ დიდი კაცები დაგვასწრობენ და მერე მგონი სულ ქისტი კვრით გამოგვრეკონ. — შემოესმა ამ დროს ილიკოს ბიჭების ხმა და მეტი სინაზულით და სინქარით სელები აუკანკაღდა.

— მოვდივარ, ბიჭო, ასლავე მოვდივარ, — გამოხმხანა და უბცურებულმა ილიკომ, ახალი ქაღმები რის ვაი-ვაგლანით გამოიწყო, ჰერანგის მსგავსი წითელი ძონძი დარბაზებიდან ჩამოიღო, ზონხაც სელებდ გადიცვა და გამოვარდა.

— ებეი! თქვენა, შვილოსან, ქორწილისთვის სომ არ მომ-სადებულხართ. დასე ამათა! — შესმახა სიცილით ილიკომ და ერთ ალაგს შეჩერებულმა ვეელას სათითაოდ თვალიერება დაუწყო. პატარა მეჭონეებს აღდგომის მოლოდინში მეტი სინაზულით ერთი მუჟა ნაბდის ქუდები ბლის ევაგილებით მოერთოთ, მელექსე მისას კი უშველებელი გაძლილი ტოტი ქამარში ჩაერჭო და თოკ მოძებული კალათა ზურგსედ წამოეკიდნა. — ესე უნდა მამ! აღდგომა და მორთულეზ არ უნდა ვიყოთ, — უმასუსეს ბიჭებმა ამაყად და გზას გაუდგნენ.

— ბიჭო, ვინ იქნება მელექსე, ვინ დაიწეებს, ჭა? — ჩასტუტუნა, თითქოს შემკრთაღვიით, ილიკომ როდესაც იორამხანთ კარს მიუახლოვდნენ.

— ემედე, ე მთელი ჯაგი რომ ურჭვია, ეგ არი აი. ასეთას შემოსმახებს, რომ იქნება ოროლი კვერცხი მოკვთავასონ, ან არა და სულ გამოგვრეკონ. — გამოვმასუნა ნიკო და თან მისას ზღერსიანად კისერში უთავას.

— არა, მამო, მე არა ვიცი რა, ვერ დავიწეებ, ტუული არ არი. მე ესლავე გეუბნებით, ბიჭო, რომ ისევე ერთად რომ დავიწყოთ ისა სჯობიან...

— რას ლაპარაკობ ბიჭო, ერთად როგორ შეიძლება. არ იცი რომ ჭონახედ მელექსემ უნდა დაიწეოს. — გააწევეტინა სანდრომ.

— მაშ თუ ეკრება, ისევ შენ დაიწყო, მე რას მეუბნები. აჭა აი ე კალათი...

— ზუთ ბიჭო! რა დროს ჩხუბია, თქვე თხრებო, აბა დასე ი ბანსედ სალხი დგას, სირცხვილი არ არის, რომ მეჭონე-ბის კინკლაობა დანახონ. მაჩვე ე კალათი აქა, განა მე კი ვერ დავიწეებ—შეუტია ეოზად გოგლამ, კალათი ჩამოართვა, და წინ გაუძღვა, მაგრამ როდესაც ბოხლის ბანს მიუახლოვდნენ და ძაღლის ეეფანედ ბანსედ მდგომთა ეურადლება მიიქცეს, ბიჭებმა ფრუტუნით ერთ წამს უკან დაისიეს და თან სირცხვილით აწითლებულნი ერთი მეორეს ამოეფარნენ.

— „გასწი, ბიჭო, რა უკან იწევ? გადადგი რაღა ე ფეხები, ისევ შენ წახვიდე, წადი რაღა, რას იძალები!“—ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს და მუჯღუგუნებით ერთი მეორეს წინ აგდებდნენ. ბოლოს მანც ისევ გიგლამ აჯობა, დაიოლია როგორც იყო, ბანის ჰარად გადადგა, ბიჭებს სელი გადაჭხვია და თამამად შემოსძახა:—ღმერთო ააშენე ეს ოჯახი აღდგომა სისარულისა გაუთენე, ჭო...ნა...და...

— მაგრამ რის ჭონა, რის ფლაგი? ბიჭებმა ერთი ერთმანეთს შესედეს და ისეთი ფრუტუნი მორთეს, რომ სირცხვილისაგან აწითლებული გიგლა წამსვე ჩაახუშეს.

— თქვით, ბიჭო, ილიგო, მე რაღა ღმერთი გაგიწერა! კვერცხები არ გინდა, თორემ ე ჩემ ჭირს, გავეწე და წავალ.

— წაუტია გაჯავრებულმა გიგლამ, კალათი თავსე აწევიტა და განსედ გადა. ბანსედ მდგომმა დედაკაცებმა და ბავშვებმა გულიანი სიცილი მორთეს, შემოესვივნენ ბიჭებს და ესევეწებოდნენ, —იმღერეთ, შვილო, ნუ გრცხვენინათო. ბებერმა ნინიკამ კი ხელად ერთი კვერცხი გამოურბეინა, კალათში გასამხნეებლად ჩაუდო და მეჭონეებს მიძრთა:

— აბა, შვილო, რისა გრცხვენინათ, თუ არ იმღერეთ, აბა ვინ რას მოგცემთ, ბიჭო? მოდი, შვილო, მოდი, რისა გრცხვე-

ნიანთ? მაცალეთ ბებერ კაცსა — დაათვაზა ნინიკამ და ჭონაც, მე მოსმასა. ბიჭებმა ბანი უთხრეს, მაგრამ ვაი შენს ძეგლს, რომ



ის ჭონა იყო: ზოგი წინ მიბრძოდა, ზოგი უკან, ზოგი თითქოს თავისთვის გაიძახოდა. ერთი სიტყვით ნამდვილი დომხალი იყო. მაგრამ ორიოდუე უბნის დავლის შემდეგ ბავშვები ცოტა არ იუვეს შეჩვივნენ, თუძა ამ შესვენამდინ-კი დიდი ვაი და სირცხვილი გამოიარეს. ერთ უბანში დაწეებისთანავე თავ-გზა აერიათ და ერთმანეთს დაუწყეს დაბრალება. ამასობაში ისეთი ჩხუბი და ალიაქოთი გამართეს, რომ ვიღაც დედაცა და ლაქი კვერცხით ძლივს გააშველა. ზოგან ქოუაკმა ძაღლებმა კუდით ქვა ასროლინეს; ბევრგან აბმდენჯერძე აძლერეს, მაგრამ კვერცხს-კი არ აძლევდნენ: ეუბნეოდნენ, ქათმები არა გვეპს და მერმისთვის დარჩესო. „ჩაფრი“ უბანში-კი ერთ იმათ ტოლ ავადმოფოთან შეიპატიჟეს, ორი კვერცხი მისცეს, სამიც ავადმოფოთის ბალიძის ქვეშ ნადები დასავსებული ჩურჩხელა მისთავაზეს და ლოცვა კურთხევით გამოისტუმრეს. ამასობაში კიდევ დაბინდდა და სოფელში ისეთი სიმშვიდე ჩა-

მოვარდა, რომ მთის ძირში აღიდგებული წყლის შესული და ზოგჯერ შორს საიდგანდაც სიმღერის სმალა ისმოდა.

— ერიჭა...ა... ბიჭებო! მგონი ი დიდ მეჭონეებსაც დაუწვევიათ. აბა ჩქარა ი ორიოდუ კომლიც დავიაროთ, სანამ დაგვასწრობენ, თორემ მერე აღარავინ არას მოგვცემს.

დანჩქარა ილიკომ ამხანაგები, რომლებიც ბოლოს დროს ისე გაეოჩადნენ, რომ აიონშიაც არ მოსდიოდათ სირცხვილი და დამაღვა. შედგებოდნენ თუ არა ბანსეჲ, ერთს-კი შესმახებდნენ, — შინ მშვიდობა, გარედ გამარჯვებოა და გათავების შემდეგ გულადად ჩაჭევიროდნენ — „აბა დედი ოროლობა, ოროლობა“. აგერ თითქმის მთელი სოფელი შემოიარეს, მაგრამ ოცდა რვა კვერცხის მეტი ვერ იშოვეს და ამან სომ ერთი სიტყვით დიდ საჯანებელში ჩააგდო. — არა ბიჭო, რისა გეშიანიანთ, წავადეთ რაღა იოსერ მამასახლისთან, შეილოსან მთელი სოფლის ქათამი და კვერცხი მაგასა აქვს შეჭმული და ორ კვერცხსაც აღარ მოგვცემს, რომ ექვს-ექვსი მაინც შეგვხდეს. — ჩამოსციებოდა ილიკო, რადგანაც დანარჩენი დიდ უარზედ ივენენ.

— არა მძო, ე საქმე სახათაბალოდ არ გაგვისადო. ის ისეთი ოსური კაცია, რომ კიდევაც არ წავგართვას რა, თორემ მოცემით სომ არას მოგვცემს. არ იცი იმის სუძტურები.

შენიშნა დარბაისლურად გიორგიმ და უკან დაიხია.

— ილიკო, ბიჭო თუ აგრეა არც მე მეშინიან. ჩვენი ნათელი მამა და აბა რას გვერჩის! — წამოიძახა სინარულით ნიკამ და ამ ამბით დანარჩენიც გაახალისა. ორმა ბიჭმა რის ვაისა და ვაგლანით დაიუოლიეს, კალათი სელში აიღეს და მამასახლისის დარბაზისკენ გაემგზავრნენ. მისვლისთანავე ბიჭებს ცოტა არ იეოს ორი გროშის სუხსი შეჰპარათ, ბანსეჲ ისე ფეხ აკრებით შედგნენ, რომ ჩაძი-ჩუძი არ მოუღიათ. ჩუძი ტუტუნის შემდეგ გიგლამ ერთი სმა მადლა ჩაახველა,

გარშემო მიიხედა-მოიხედა და რა დარწმუნდა, რომ საშიშო არა იყო რა, არსებინად შემოსძახა ჭონა და თან გაიღეკსა: ალბათსა ბაღათასა ჩამოვკიდებ კალათასა, შენ ერთი კვერცხი მიბოძე, ღმერთი მოგცემს ბარჩასა. ამ სიმღერასთან ერთად კალათა კვერცხებით მძიმედ ჩაჭკიდეს და ცოტა ხნის შემდეგ დაიძვრებულა უკანვე ამოხსიეს... ელდით კინაღამ გადარივნენ: კალათა კვერცხების მაგივრად ქვა და გორასით გაემსოთ და ზემოდგან ქალმის ჯღანები დაეუარებინათ.

— ბიჭო... თ... დახე რა გვიყო, საიდგან წამოგვიარა, რო იცინიან კიდეცა. — შეაჭყიტეს ბავშვებმა თვალები ერთმანეთს და ჰირდალებულები ერთ ალაგას შეყრდნენ. გულმოდგინი ილიკო ძალზედ ცმუკავდა, ბოლოს ვეღარ მოითმინა და ბანიდგან ჩასძახა:

— მამასახლისო, შენი ჭირიმე ე ჩვენი კვერცხები მოგვეთუ ქრისტიანი ხარ, მოგვე, შენთავ შემოგვეღე.

ამასვედ ზასუნს რომ არავინ გასცათ, ბიჭები გაგულისდნენ და რამდენიმე ერთად ჩასძახოდან: — გამოიტა, ქრისტე ნუ გაგიწურება, ე კვერცხები, შენი-კი ცოტა გაქვს, რომ ჩვენი არ წავგართვა, გამოიტა შენი ჭირიმე, — ესვეწებოდნენ ბავშვები.

— აი თქვენი საღაფათი-კი დაიქცა, ერთი დამენახეთ ვის აგიგდიათ თავი მასხარად და მერე მე გიჩვენებთ თამაშასა! — გამოძახა რიხიანად მამასახლისმა, კარები გამოაჭრიალა და გარედ გამოვარდა.

ბიჭებმა ის-კი მოასწორეს, რომ ქვა და ღორე უკანვე ბანში ჩაუყარეს. რამდენჯერმე გულიანად შეუეურთეს და თვალის დასამხამებასკდ მიამალნენ.

შუაღამე მოახლოვებული იყო, რომ ილიკო ცეცხლს უჯდა და ნამტირალეკი თვალებით კვერცხებს ღებავდა. დედა ტახტზედ იჯდა და ქუსლ მოვარდნილ ფეხსაცმელს სველი ჩვრი თა სწმენდავდა.

— აკი გითხარი, შვილო, გაგესუმრებოდათ მეთქი. აბა ტყუილად რაზედ იკლავდი თავსა. ან-კი ი დალოცვილს თქვენი ცოდო რათ უნდოდა, როდესაც სახლში მღვთის მოწეალება ბევრი აქვს.

მიუბრუნდა შვილს და ამ წამს ხარის ჩამორეკვასედ სასოებით ზირჯვარი გადიწერა.

— ოჲ, დიან, გვესუმრებოდა. რა ჩვენი ტოლი იყო, რომ გაგესუმრებოდა. აბა ი გიორგას დედა არა უოფილიყო, თუ უკან დაგვიბრუნებდა, ვერა ნახავდი, მაგრამ ეჲ, მაგი რჯულიც დაიქცა, განა არ ვიცით, რა შვილიც არი. ე კვერცხები სომ შველებე და აღდგომას ისე დავესწარი და იმას გინდა თავში ქვა უხლია. — უზანუხა ილიკომ, ცხელი კვერცხები უბეში ჩაიდო და ხელასლად გახარებულმა ლიტონიასედ გამოჰკურცხლა.

ცქვიტი





თავ-წითელა



ღივს! ძღივს არ მოვიდა ეს სანატრელი ღღუც.
ძერე როგორ ველოდი! ღღუძი ერთი ათჯერ მაინც
დავითვლიდი სოღძე თითებზე, — რამდენი ღღუ-ღა
დაგვრჩომოდა სასწავლებლიდან დათხოვნამდე.

და აი, თავისუფალი ვარ! მივღავარ სოფელში, ჩემს სას-
ლში, ჩემს და-ძმებთან, მშობლებთან, ამხანაგებთან...

გავედით თუ არა ქალაქიდან, ჩემს თვალ წინ გადამიღა
მწვანე მინდორი, მწვანითვე ახლად აბუსუსებული ქედები. ბუჩ-
ქებს ელორტები გამოეშვათ და გარს შემოხვეოდა წითელ-თა-
ვა და ლურჯ თავა ია. ვენახებში ნუში ვარდის ფერად აევა-
ვებუღიეო, მას მხარს უმშვენებდა ჰირისფერ ვეხვილებიან
კაბაში გამოწეობილი ატამი, თხილხაც მწვანე, თითის ტოლა
ჩურჩხლები მოესხა. ტყეს ბინდი მწვანედა ჭეერავდა, სოლო
ტყემალი კი ჭქარგავდა თეთრად. თოვლი შორს, შორს მთის
წვერვალზედღა მოჩანდა. მზე კამკამებდა. ბელურები მოუსვე-

ნარად დაფრინავდნენ, — ხან ფრთის მოწურვით გაექანებოდნენ ტეისკენ, ხან ჩაიფრთხალავდნენ ბაღის თხილნარში, თითქოს რაღაც საშური საქმე ჰქონდეთო. ტოროლა დაეშვებოდა ხოლმე ცის კიდურიდან ძირს ჯეჯილისკენ, მიუსვ-მოუსვამდა თვის ჰაწია ნისკარტს, და მერე ისევ ასრიალდებოდა მაღლა, გაშლიდა ფრთებს და ძღეროდა.

— მუუ... მუუ... ახმაურებდა მინდორს გაშლილი ძროხა და ხარბათა სძოვდა ნორხ, რძიან ბაღასს; გაითამაშებდა ზოგიერთი, დაუდგებოდა ამახანაგს ზირდაპირ, დახრიდა რქებს დაბლა და იწყევდა საჭიდაოდ.

ბეე... ბე... ბეე... მუე... ისმოდა ცხვარბატკნის ბღავილიც. დედა შვრელს ეძახდა, შვილი დედას ეძებდა. ზოგი ბატკანი მუძუსა სწოვდა; ზოგი კუნტრუშით მისდევდა ფარას. სულ ჰატარებოდა, რომელთაც ჯერ სიარული არ შეეძლოთ, მწევძსებს სელში აეყვანათ.

ჩემს დედას არ დამავიწყდება, — რა სიამოვნებით უსვამდა ენას ერთი დედა-ცხვარი თვის ჰაწია თეთრქათიბა ბატკანს! როგორ ეაღერებოდა, უკუტკუტებდა, თავით ჰაწია კისერს, აწვებოდა და ისვამდა მუძუებში.

— მოწოვე, მოწოვე, ჩემო კარგო, ჩემო თეთრქათიბავ ჩემო ერთათ ერთო საყვარელო.

დიდხანს ვუეურე მათ აღერსს. დედამ როგორც იყო მუძუებში შეისვა ბატკანი და თვითონ გაიბოტა. ჰაწია ბატკანის თეთრი ტუხები მოხვდნენ მუძუებს და დაუწყეს წუწვნა. ესლა კი მისვდა, რას ნიშნავდა დედის თავის ქნევა, მისი კრუსუნი. ჰაწია მისვდა, — სად იყო მისი საკვები მუძუ. ჯერ წელა სწოვდა, მერე თანდათან მოუხშირა ბოლოს რამდენჯერმე მისწივ-მოსწივა მუძუ-მაგრა, წაუგერა მცურს და გაანება თავი. გაძლა, ფერდები გაებერა. დედამ მოხედა, ბღავილით ანიშნა გაჭეოლოდა უკან, ისიც „მეეს“ ძახილით აედევნა თვის სა.

ევარელ მშობელს, რომელიც გაჭედა ბაღასს ძოვნით, რომ
თვის შვილისთვის კიდევ მოეგროვებინა რძე. რა კარგები
იქნენ ამ დროს ორივენი, მე მინდოდა ეელზე მოვსვენოდი
მათ და გადამეკონა.

ჩემს სიხარულს სასდვარი არა ჰქონდა, როდესაც შინაც
ასეთვე თეთრქათიბა ბატკანი დამსვდა. მოსვლისთანავე გადა-
ვკოცნე მშობლები, და მძანი და ასლა ეზოს დათვალიერება
მომინდა. გამოველ გარეთ და ჩვენს ბოსტანში დავინახე სწო-
რედ ასეთივე თეთრი ბატკანი. მას დედა გვერდით არა ჰქვან-
და. თვისი ზაწია კიჭებით მისეოდა ქორუა ბაღასს. მე მაშინ
ვე მისკენ გავეშურე, გამისარდა მისი ნახვა. მომაგონდა მინ-
დორი, მოალერსე დედა და მისი შვილი, თეთრქათიბა ბატ-
კანი. ამ დღიდან მე და ჩემი ბატკანი მეგობრები შევიქენით.
რაც დრო გადიოდა, უფრო მიეუარდებოდა. ისიც შემეჩვია და
აღარ არიდებდა ზირს ჩემგან მიწვილს ბაღასს.

ობოლი, იყო, საწყალი; მაძახემს დედისთვის მოემორებინა
და მოევენა. გაცნობიდამ გავიდა ერთი კვირა და აღდგომა
მოახლოვდა.

წითელ ზარასკევს დედამ კვერცხები შეღება და ახალფურის
ორი წითელი ხალი ჩემს ბატკანსაც გაუკეთა: ერთი ზურგზე,
ერთიც შუბლზე. ისე შეენოდა ჩემს მეგობარს შუბლზე წითელი
ვარსკვლავი, რომ თავწითელა დაუჟსანე. ოჲ, რა ღამასი იყო,
როგორ შეაღერსებოდა, რა სიუხარულით შემომეურებდა! ეო-
ველ დილას მე თვითონ შევეუვანდი სოლმე ბოსტანში, აქ
გაშლილ იასამანის ქვეშ ერთად ვატარებდით დროს. ეოველ
საღამოს, მე თვითონ შემეუვანდა ბოსელში და წინ ვუდებდი
ჩემგანვე მოერეფილს მწვანე ბაღასს.

ასე ვატარებდით დროს აღდგომის წინა საღამომდე. ამ
საღამოსაც ჩვეულებრივ დავაბინავე ჩემი მეგობარი, ვუსურვე
ღამე მშვიდობისა და შევედი სახლში. დედაჩემს ბუხარში კე-

ცები აეგუდებინა ქაღების გამოსაცხობად. მეც მასთან ერთად დავიწვე ფუსფუსი. შუაღამემ მოატანა, თვალები ჩემდაუნებურად მესუჭებოდა, მაგრამ ვცდილობდი არ დაძმინებოდა. მოუთმენლად ველოდი ზირველი ზარის სმას. მაგრამ, როდესაც დედი ჩემის სმა გავიგონე მე ლოგინში ვიწექ. მიღს მანც დავეძლიე.

— ადე, შვილო, ადე, ტანთ ჩაიცვი, მამაშენს ევლოგიაზე გაჭეე. მომესმა ბურანში დედიჩემის სმა.

მე ერთს წუთს წამოვიჭერ ლოგინიდან დედამ ტანისამოსის ჩაცმა მიშველა და ცოტა ხანს შემდეგ მე და მამაჩემი ეკლესიას მივუხსლოვდით. რა მშვენიერი იყო იქაურობა! ეკლესიის გარეთ სანთლები ზაწია ვარსკვლავებივით ციმციმებდნენ, ცა მოკაშკაშებული იყო და იქიდანაც ვარსკვლავები დავეურებდნენ თავზე.

— ნაუუ... ნაუუ... ისმოდა სამრეკლოდან ზარის სმა. ეველა მსიარულობდა, ეველა ერთმანეთს ესიევარულებოდა. იქ ბევრი დამსვდა ჩემი ტოლი და ამხანაგი. რასაკვირველია მე მათში ჩავერიე. ეველა ჩვენგანს თან რამდენიმე წითელი კვერცხი გვქონდა, მაგრამ ჯერ არ შეგვეძლო ერთმანეთს შევბრძოლებოდით, რადგან ევლოგია არ შემოგვევლო. მალე ეს წუთიც დადგა. ეკლესიიდან ხალხი გარედ გამოვიდა და სანთლებით ხელში შემოუარეთ საედარს. ამის შემდეგ კი დაიწყო ერთმანეთის მილოცვა, სიცილი, ხარხარი, კვერცხებით ბრძოლა, ზატყი... ხალხი ნელ-ნელა იძლებოდა მე და მამა ჩემიც შინ დავბრუნდით.

მე ვეპურებოდი ჩემი მეგობრის, თავ-წითელას ნახვას. მინდოდა იმისთვისაც მიმელოცნა ადღეობა, წითელი კვერცხი, მიმეტანა. მისთვის ქადა და დილის ნამიანი ბაღასი. მაგრამ, თქვენს მტერს, რომ მე სწანხავი ვნახე. ჩემი თავწითელა მო-

სამსახურე ბიჭს ჩამოეკიდნა უკანა ფეხებით მარნის ბოძს და ატუაგებდა. თავი პირს ეკდო, თვალები ნახევრად დახუჭონდა. იქვე ახლოს სისხლის გუბე იდგა. აღარ იყო წყნარობა, დაეკლათ!




— საადგომო ბატკანი იყო, შვილო, — მიზანსუხა მამამ, როდესაც მე გული ამომიჯდა და ტირილი დავიწეე. მეტი ვეღარ ვუუერე ჩემს მეგობარს, შევედი სახლში და მაინც თვალწინ მედგა მისი წითელი სისხლი, ნახევრად ჩამოტყავებული სორცი და მოჭრილი წითელ ვარსკვლავიანი თავი.

დმერთო ჩემო ნუ თუ იმისთვის მოვრთეთ, იმისთვის გავაღამასეთ მისი თეთრი ქათიბი, რომ რამდენიმე დღის შემდეგ

მოგვეხსოვოს მისთვის სიცოცხლე! ნეტა მასაც ისევე მინდოდა
 ესტუმნა თავისდუდასთან! რად გაუოგნეთ შავბნელი აღდგომა?
 ვფიქრობდი მე და თუც მას შემდეგ კარგა ხანი—გავიდა, მაინც
 არ დამვიწყებია ჩემი უბედური თავ-წითელა!

ი. ევდოშვილი.






რა გვითხრობს დედა

(გაგრძელება)

VIII შაქარი



ბა დედა,—ეუბნებოდა მეორე დღეს ჩაის უკან ადა,—აჰი დაგვპირდი, სჯალ შაქარზე გესაუბრებითო. გეტეობა შაქარი ძალიან არ გეყვარებია, რომ ასე ცოტას უშვრები ჩაიში.

— იეო დრო, შვილო, ნორმანსე ცოტა დიდი ვიქნებოდი—რომ სრულიად უშაქროდ ვსვამდი ჩაის. მაშინ ინგლისელმა ბეგრმა ქალებმა დასდეს ალთქმა—შაქარი არ ესმდრათ, მანამ არ ვაათავისუფლებდნენ ზანგებს ამერიკაში.

— მაშ მავ ზანგების ამბავი გვითხარ, ჩვენ არა გაგვიცია რა მათზე.

— აი, შვილებო, შაქარი მოგვდის ჩვენ ამერიკიდან, სადაც მას ამსადებენ შაქრის ლერწმიდან. შაქრის ლერწმის დიდრონი მინდვრები სასიამოვნო სანახავია, ნამეტნავად როცა ევავის. ეს ლერწაში იზრდება კაცზე უმაღლესი, ღერო ევითელი აქვს, თავზე მწვანე ფოთლის ფოთი აქვს ჰაწია თეთრ ევავილებით. ოდნავი სიოც კი ისე აღელვებს, როგორც სდვას, და აი ამ მშვენიერ მინდვრებში ამუშავებენ შავ კანიან მონა ზანგებს. იმათი სამშობლო ცხელი აფრიკაა. ვაჭრები მიდი-

დნენ აფრიკაში და ნადირობდნენ ამ კაცებსე, ხან და ხან კი უიღულობდნენ მათ, ესე იგი უცვლიდნენ მეფეს სსვა-და-სსვა ბჭევრიანა ნივთებსე. დასტვირთავდნენ სო-მაღდებს ზანგებით და მიჰყავდათ ამერიკაში მებორკილებულნი, ცუდად აჭმევდნენ და ჰყავდათ შავიწროვებულნი, ამ საბრალოთაგანი მრავალნი ისოცებოდნენ გზაშივე. ეოველ ურბობასე სამინლად სცემდნენ. ამერიკაში ზან-გებს ჰყიდდნენ. ბაზარში სათითაოდ, როგორც საქონელს, დედას სტაცებდნენ შვილს, ცოლს ამორებდნენ ქმარს, დას ძმას. უცხო ქვეყანაში სრულიად განცალკევებულნი, მოწვევტილნი სამშობ ღოს და სახლობას, ისინი მუშაობდნენ მინდვრებში ცხარე მზის ქვეშ. ზატარას თუ შეისვენებდა საბრალო, მაშინვე გადაჰყრავდა ზედამხედველი მათრასს. დიდხანს გულ მტკივნეულად უეურობდნენ ამ ამბავს საუკეთესო ადამიანნი, ბევრს სწერდნენ ამასე და ქადაგებდნენ, რომ არ უნდა მფლობელ აბდეს აგრე კაცი კაცსე, როგორადაც ჰირუტევსე, და აი მაშინ უარჰქევეს ინგლისელმა ქალებმა საქარი, რომელიც ხალხის ასეთი ტანჯვის ნაყოფი იყო. ესლა კი, ეს 30 წელიწადია, რაც ზანგები განთავისუფლეს, აღარ არიან მოხანნი, რომ ბაზარში ჰყიდდნენ. მაგრამ მაინც მძიმე მუშაობით და შრომით მოჰყავთ საქარი, თუმცა ესლა თავისუფლად მუშაობენ და იღებენ კიდევ ჯამა-კირს, მაგრამ მაინც მეტად მძიმე შრომა აქვთ და ჯამაკირსაც ცოტას იღებენ ძლივს ჰყოფნით სახლობის შესანახად. საუ-კეთესო ხანა მათის მუშაობისა მაშინ დგება, როცა ლერწმს სჭრიან, მაშინ მთელს დღეს სწუწნიან ლერწმის ღეროებს, და მითი სუქდებიან, ჯანიც ემატებათ რადგანაც წვენი ლერ-წმისა დიდად სასარგებლოა. ხარები და ცხენებიც-კი მოდო-



გარხალი.



ნიერდებიან სოღმე, რადგანაც მათაც აჰყვევენ დეროებს, როცა წისკვილში მიაქვთ ლერწამი.

— დედა, წისკვილში რაღაღ მიაქვთ ლერწამი? — იკითხა ნორმანმა.

— ლერწმის დეროებს სრესენ წისკვილში, რომ წვენი გამოუშვას დიდ აუზში. გამოხაწურ ელორტებს სმარობენ ღუმელის გასასურებლად, რომლის შემწვობითაც ღუღს წებალი. ამ წელის ორთქლი ატრიალებს წისკვილს. ტკბილ წვენს ურევენ ცოტადენ კიოს რომ არ დამჟავდეს, მასუკან ხარშვენ, მწვანე ქაფს ხდიან, როგორც მურაბას, და იმდენს ადუღებენ, მანამ არ გასქელდება. მაშინ აციებენ დიდრონ სის კათხებში რომელსაც ძირი დახვრეტილი აქვს. კათხებს ამ აუზებზე ალაგებენ სადაც რამდენიმე კვირის განმამავლობაში წვენი გაუვა და ბოჩკის ძირში დაჩეხება მოვეითანო ლერწმის შაქარი, რომელიც მზად არის გასასყიდად. ესლავი უფრო ჩქარა სწურვენ შაქარს. როდესაც მოიხდებით, შეიტკობთ, რომ ბუნებაში არა ალავი არ რჩება ცარიელი, რომ ჭაერით მაინც არ იყოს შევსილი. კათხის ზემო განყოფილებას აქვს წმინდა საცეროვით ძირი რომელზედაც ასხამენ მღუღარე შაქრის წვენს, ქვემო განყოფილება-კი ჭაერით არის სავსე. როდესაც ჭაერს გამოიფანენ იქიდან მანქანის შემწვობით, მაშინვე ზემოდან წამოვა ტკბილი წვენი ცარიელი ალაგის შესავსებად, შაქარი-კი ვერ გადის წმინდა საცერში და რჩება ზემოდ. რუსეთში, საფრანგეთში და სოკიერთ სხვა ქვეყნებში შაქარს ლერწმისას არ აკეთებენ, არამედ ჭარხლისას. კანადაში შაქარს ამსადებენ ერთგვარ მცენარისას, ნაკენსხალივით არის...


— შენ მგონი რაღაც გინდა მკითხო, ემი?

— დიხს დედა, მე არ მესმის მამ რისთვის გვეუბნები სოღმე, ტკბილეულება მაწეინარიაო, და ესლავი სთქვი, რომ შაქრის წვენი ასუქებს ხალხს და ჰირუტევსაო.

— იმისთვის, რომ ტკბილეულობა მარტო შაქრისა არა
 კეთდება, და ბევრ მანუ მასხლას ურევენ. ფიქრში არ მოგდის,
 რომ რიგი ან არის კაცმა ბევრი ფული დახარჯოს ტკბი-
 ლეულებზე, როდესაც მრავალი ხალხისა, დიდი და პატარა
 რომელთაც ლუკმა პურიც-კი ენატრებათ.

ან. ამილახვრისა





ახლაგაბი და ბაგოცანები

ბ ა გ ო ც ა ნ ე ბ ი


ღარიბ ხალხის კარებს ვდგებარ,
მდიდრებს კი არ ვეკარები;
მეტად ავი სტუმარი ვარ
და ეოველ სულს ვეჯახვრები.

ცოცხალია, ბაღასსა სმოვს,
მოკვდება და ღვინოსა სვაშს.

რ ე ბ უ ს ი



რ



დ (კაბისი ანუ?)
რ¹⁰
კ

(ნაცვალ სხელი)
და



ლ



რ
ქ



10

წითლ

10



1




ეთს

მ
მ

(ძნის შესავალი)

20, რთ

(ჯვარცმის მესამე დღეს რა მოხდა)



მ
მ
მ

(უარის
ნიშანი)

10

მე-6 ლ-ში მოთავსებული გამოცანების აღსნა:

სა'საძირო, სსპარტლი, ეურბენი.

მე-6 ლ-ში შეცდომით არის დაბეჭდილი მოთხრობა „რა გვიამბო დედამ“ ვაგნერის მოთხრობად.

მიიღება ხელის მოწერა

1908 წლის იანვრიდან 1909 იანვრამდის.

საუბაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნ ა კ ა დ უ ლ ი

(წელიწადი მეოთხე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24

წიგნი ჟურნალი „ნაკადუ-
ლი“ მცირე წლადანთათვის

12

წიგნი ჟურნალი „ნაკადული“
მოზრდილთათვის.

პრემიები: 1-ლქ, „1908 წლის კედლის კალენდარი 12-ი სუ-
რათით“. 2-რქ, „თომას თავგადასავალი“ მარკტვენისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალო-
ვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამუშაოთბით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღა-
ზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი
ჟურნალისა დამატებით, ესე იგი პირ წიგნისა რჩება ისევ ნ მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ
რედაქციას

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ეთხოვთ გარკვევით
და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: მ. ი. დემურია.

გამომცემელი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი.



ყოველ დღიური გაზეთი

„ამიკანი“

მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის.

გაზეთის ფასი:

წლით როგორც ქალაქში, ისე ქალაქს გარედ—	7 მანეთი.
ნახევარი წლით	„ — 4 მანეთი.
ერთი თვით	„ — 90 კაპ.

მიიღება ხელის-მოწერა ყოველთვიურ სამეცნიერო პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ

„განათლება“-ზე

(წელიწადი პირველი)

წლიური ფასი ხელის-მოწერათვის 5 მანეთი, ნახევარი წლით—3 მანეთი. სამი თვით 1 მან. 60 კაპ.

ტფილისში ხელის-მოწერა მიიღება „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში: „ნაკადულის“ რედაქციაში და ჩიდეალის“ სტამბაში (კიკნაძესთან) ნიკოლოზის ქუჩა № 6.

ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთში“ ისილორე კვიტარაძესთან.

открыта подписка на 1908 годъ

на газету

ЗАКАВКАЗЬЕ

ТРЕТИЙ ГОДЪ ИЗДАНИЯ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисъ:	Съ пересылкой въ другіе города
на годъ 6 руб.—коп	на годъ 8 руб.—коп
на полгода 3 руб. 50 ко	на полгода 4 руб. 50 ко

Помѣсячно повсюду 75 коп., отдѣльный № 5 коп. Заграницей вдвое

Тифлисъ Головинскій пр., д. Манташева, № 6.

Редакторъ-издатель П. А. ГОТУА.